აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და შეფასების მეთოდოლოგია

EWUNI

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი
დამტკიცებულია პრეზიდენტის № 01-12 ბრძანებით
თარიღი: 11 თებერვალი 2025

სარჩევი

თავი I: ზოგადი დებულებები 2

თავი II: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები 2

თავი III: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება 2

I ეტაპი: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება: 3

II ეტაპი: კურიკულუმის ანალიზი: 4

III ეტაპი: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება: 6

IV ეტაპი: შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად: 7

თავი IV: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება 8

თავი V: დასკვნითი დებულებები 8

წესის დამტკიცება 8

თავი I: ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების (შემდგომში -სწავლის შედეგების) შეფასების მეთოდოლოგიას.

თავი II: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

1. საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის საფუძველზეც ხდება კვალიფიკაციის მინიჭება, აღწერილი უნდა იყოს სწავლის შედეგებით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების საფეხურთან. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანართი N1 კვალიფიკაციის დონეების მიხედვით) .
2. სწავლის შედეგი აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას:

   ა) **ცოდნა და გაცნობიერება- ცოდნა** არის სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, პროცედურების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი. **გაცნობიერება** არის ცოდნის კონტექსტში ჩასმის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ცოდნის გახსენებას, შერჩევას, იდენტიფიცირებას, ინტერპრეტირებას, კლასიფიცირებას, ახსნაგანმარტებას, შეფასებას, სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას.

   ბ) **უნარი** არის კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა და აღიწერება კოგნიტური და პრაქტიკული უნარების გაგებით.

   გ) **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს სასწავლო ან სამუშაო კონტექსტში პირის მიერ პასუხისმგებლობით მოქმედებისა და საკუთარი სწავლისა და განვითარების შესაძლებლოების წარმოჩენას.

თავი III: საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება არის მუდმივი პროცესი, რომელიც ადგენს რამდენად მიაღწია სტუდენტმა განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ასევე გვაძლევს შესაძლებლობას, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გავაუმჯობესოთ პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შედგება 4 ეტაპისაგან:

I. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;

II. კურიკულუმის ანალიზი;

III. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;

IV. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

I ეტაპი: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება:

- პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც პროგრამის კვალიფიკაციის მქონე პირს უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა არის რეგულირებადი, მაშინ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ასევე უნდა მოხდეს დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინება.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რაც მათ შეფასებას გულისხმობს).
- სწავლის შედეგებში ასახული უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნები, რომლებიც დაფუძნებული იქნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზზე, რაც გულისხმობს იმის დადგენას, თუ აღნიშნულ დარგში რა საჭიროებებია, რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ დამსაქმებლებს.
- სწავლის შედეგებში გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და მსგავსი პროგრამების და/ან დარგობრივი მახასიათებლები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობის მიზნით ფორმულირება უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახით: პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინებათ, რა უნარები ექნებათ, რა ემოციური ცვლილება მოხდება მათში.
- სწავლის შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს აწმყო დროში.
- პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან ბევრი. ოქროს წესად მიიჩნევა ათამდე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება (თუ სხვა რამ არ არის დადგენილი პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით).
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულ უნდა იქნას ბლუმის განახლებული ტაქსონომია. აღნიშნული ტაქსონომია მოიცავს ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონეს. თითოეული დონისთვის კი განსაზღვრულია შესაბამისი ზმნები:

დონე	ზმნები
1. **ცოდნა** - ფაქტებისა და ძირითადი კონცეფციების ამოცნობა და გახსენება.	განსაზღვრა, ჩამოთვლა, ამორჩევა, მოძიება, დასახელება, გახსენება, დაკავშირება, ჩვენება, გამოსახვა, ამორჩევა, თქმა, მონიშვნა, პოვნა, იდენტიფიცირება, ცნობა, დასახელება, და სხვა.
2. **გაგება** - იდეებისა და კონცეფციების ახსნა. ამა თუ იმ თეორიის, საკითხის, მოვლენის ახსნა, შეჯამება, კლასიფიცირება. ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვანაირად გამოთქმა	აღწერა, განხილვა, კლასიფიცირება, შედარება, შეპირისპირება, კონტრასტი, ახსნა, ილუსტრირება, ამორჩევა, თარგმნა, ინტერპრეტირება, მიმოხილვა, გამოკვეთა,

და/ან მაგალითის მოყვანა. ნასწავლი ინფორმაციის გააზრება და ინტერპრეტაცია.	დაკავშირება, პერიფრაზირება, შეჯამება, განმარტება, შეცვლა, მითითება და სხვა.
3. **გამოყენება** - ინფორმაციის/ნასწავლი მასალის გამოყენება ახალ სიტუაციაში. იდეებისა და კონცეფციების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება	გამოყენება, დანერგვა, ექსპერიმენტირება, მოდელირება, ორგანიზება, ამორჩევა, დემონსტრირება, გადაჭრა, გაანგარიშება, შეცვლა, გამოთვლა, ილუსტრირება, მოდიფიცირება, ოპერირება, პრაქტიკაში გამოყენება, პროგნოზირება, წარმოება და სხვა.
4. **ანალიზი** - იდეებს შორის კავშირის დანახვა. განსხვავებული ცნებების მახასიათებლების, პროცესებისა ან მოვლენების შედარება აზრის გამოთქმისა და მსჯელობის გარეშე. ინფორმაციის შემადგენელ კომპონენტებად დაშლა მათ შორის ურთიერთკავშირისა და სტრუქტურის გაგების მიზნით.	განსხვავება, ორგანიზება, კონტრასტი, შედარება, ანალიზი, კლასიფიცირება, აღმოჩენა, გამოყოფა, გამოპირობება, გაყოფა, შემოწმება, ინსპექტირება, შემოწმება, გამარტივება, რანჟირება, კლასიფიცირება, დანაწილება, შეპირისპირება, დიფერენცირება, გამორჩევა, დაყოფა, დაკავშირება, განცალკევება, კატეგორიზაცია და სხვა.
5. **შეფასება** - გადაწყვეტილებისა და/ან პოზიციის დასაბუთება/გამართლება. ცნებების, პროცესების, იდეების სირთულეებისა და შეზღუდვების განხილვა. აზრის/მოსაზრების ჩამოყალიბება რაიმე მოვლენისა თუ იდეეს გარშემო და მისი გაკრიტიება ან მხარდაჭერა.	საკვნძო ზმნები: არგუმენტირებული მსჯელობა, შექება, განსაზღვრა, შეჯამება/შეჯერება, შეთანადება, გადაწყვეტა, დაცვა, უარყოფა, მხარდაჭერა, გაკრიტიკება, შეფასება, აღრიცხვა, დასკვნის გაკეთება, დარწმუნება, რეკომენდაციების მომზადება, ვალიდაცია, გაზომვა, უპირატესობის მინიჭება და სხვა.
6. **შექმნა** - ახალი ან ორიგინალური ნაშრომის შექმნა. ნასწავლი ცნებებისგან განსხვავებული ახალი ცნების შექმნა, ან ნასწავლი ცნების გამოყენება რაღაც ახლის შესაქმნელად.	აგება, აწყობა, დიზაინი, განვითარება, ფორმულირება, გამოძიება, ავტორობა, ცვლილება, შედგენა, კონსტრუირება, შექმნა, გამოგონება, მაქსიმიზირება, მინიმიზირება, მოდიფიცირება, დაგეგმვა, დაწყება, ვარაუდი, გადაჭრა, ტესტირება და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება

II ეტაპი: კურიკულუმის ანალიზი:

პროგრამის სწავლის შედეგები პირველ რიგში შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მიზნებთან, რომელიც თავის მხრივ ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე

კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე - დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად და დასადგენად, თუ რომელი სწავლის შედეგი უზრუნველყოფს რომელი მიზნის მიღწევას უნდა შემუშავდეს **პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა,** რომელიც შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა					
პროგრამის მიზნები/სწავლის შედეგები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5
პროგრამის მიზანი 1					
პროგრამის მიზანი 2					
პროგრამის მიზანი3					

მას შემდეგ რაც, განვსაზღვრავთ პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, უნდა შემუშავდეს **კურიკულუმის რუკა,** რათა დავრწმუნდეთ, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ აღნიშნულ სწავლის შედეგებს. კურიკულუმის რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კვლევითი კომპონენტებით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები და რა დონით: 1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება. კურიკულუმის რუკა, შესაძლოა წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

კურიკულუმის რუკა						
სასწავლო კურსი/კომპონენტი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6
სასწავლო კურსი 1	1		1	1		1
სასწავლო კურსი 2		1		2	1	
სასწავლო კურსი 3	2	2	2	3		2

სასწავლო კურსი 4		3			2	3
სასწავლო კურსი 5	3		3		3	

კურიკულუმის რუკის შედგენის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- კურიკულუმის რუკა მოიცავს მხოლოდ სავალდებულო კომპონენტს/ებს;
- კურიკულუმის რუკაში სავალდებულო კომპონენტები უნდა იყოს ქრონოლოგიურად დალაგებული და აჩვენებდეს სწავლის შედეგის განვითარებას;
- პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის განმავითარებელი სასწავლო კურსების რაოდენობა უნდა იყოს ადეკვატური (ზედმეტად ბევრი სასწავლო კურსი ხომ არ ავითარებს ერთსა და იმავე სწავლის შედეგს ან პირიქით; ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს);
- პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე უნდა განვითარდეს, ხოლო შეფასება განხორციელდეს იმ სასწავლო კურსში, სადაც ხდება მისი მიღწევა/განმტკიცება;

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და დადგენა, რამდენად უზრუნველყოფს კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში.

III ეტაპი: პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება:

შეფასების მე-3 ეტაპზე უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს და ასახავს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი. იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება რუბრიკა/რუბრიკები დავალების შესაფასებლად, ისიც თან უნდა ერთვოდეს შეფასების გეგმას. გეგმის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს ორი მეთოდის გამოყენებით:

- **პირდაპირი მეთოდი** - **პირდაპირი მეთოდით** მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების (ტესტი, გამოცდა, ესე, სალიცენზიო გამოცდა და ა.შ) მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგის შესაფასებლად გამოიყენება იმ სასწავლო კურსის/კომპონენტის დავალება, რომელიც კურიკულუმის რუკაზე განმტკიცების დონეზე გადის.
- **არაპირდაპირი მეთოდი** - **არაპირდაპირ მეთოდით** პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისათვის გამოიყენება კითხვარები (სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) ასევე, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები, ინტერვიუები, დასაქმების მაჩვენებელი, სასწავლო კურსებში მიღებული ქულები, პროგრამის დასრულების მაჩვენებლები, სალიცენზიო გამოცდის ჩაბარების მაჩვენებლები;

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს. (მაგ., სტუდენტების 60%

მიიღებს 15 დან 20 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთავევაში, თუ ამ სწავლის შედეგს ვაფასებს ესეს მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა)

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შესაძლოა წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა							
პირდაპირი მეთოდი					არაპირდაპირი მეთოდი		
სწავლის შედეგი	სასწავლო კურსი	შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების პერიოდი	სამიზნე ნიშნული	შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი

IV ეტაპი: შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად:

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სისტემური პროცესია რომელიც ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით და ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს, სამიზნე ნიშნულების მიღწევის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესის დინამიკურ განვითარებასა და მაღალ ხარისხს. მე-4 ეტაპი მოიცავს შემდეგ პროცესებს:

- **მონაცემების შეგროვება**;
- **მონაცემების ანალიზი**;
- **შედეგების სამიზნე ნიშნულთან დადარება**; ამ ეტაპზე განიხილება, არსებობს თუ არა პროგრამის ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც სტუდენტების უმრავლესობა სუსტად ან საერთოდ ვერ აღწევს.
- **პროგრამაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება**. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს:სასწავლო კურსის შინაარსის გადახედვას, კრედიტების და სამუშაო საათების ცვლილებას, კურსების თანმიმდევრობის შეცვლას ან წინაპირობების დაწესებას, შეფასების სისტემების მოდიფიცირებას, სასწავლო რესურსების, მათ შორის ლიტერატურის, განახლებას და ა.შ.
- **დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირი** პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გაცნობის მიზნით;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი/ები. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმავითარებელი კომიტეტი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს რეაგირების

აუცილებლობისა და შესაბამისი ზომების შესახებ. რეაგირების საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების წესის“ შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აწვდის შეფასების შედეგებს და ანგარიშს გამოვლენილი პრობლემური საკითხების რეაგირების შესახებ.

თავი IV: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება

სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა ხდება მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც გულისხმობს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასებას სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების დინამიკაზე დაკვირვების საშუალებით. არასებული მეთოდი შესაძლებლობას იძლევა, გავიგოთ, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსების პროგრამები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ, რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე და სხვ.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება გაუსის ნორმალური განაწილების სკალა, სადაც:

- 10%- A (ფრიადი)
- 25%- B (ძალიან კარგი)
- 30%- C (კარგი)
- 25%- D (დამაკმაყოფილებელი)
- 10%- E (საკმარისი)

აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები: კრედიტების/საათების განაწილება დროში, სწავლების მეთოდები, თემატიკა, მოცულობა, შეფასების ფორმები და მეთოდები, ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა, კურსის დაძლევის წინაპირობა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ.

თავი V: დასკვნითი დებულებები

წესის დამტკიცება

1. წინამდებარე წესი ამტკიცება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.

"დამტკიცებულია"

აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის პრეზიდენტი

გიორგი ხუროძე